პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

15 აგვისტო
სამშაბათი,
1961 წ.
№ 121 (1757)
გამოცემის მე-18 წელი
ფასი 3 კაპ.

## ტელეფონთან მოსკოვი!

(ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ჩაებნენ კლასიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ასპარეზობაში. კლასიკურ ჭიდაობაში პირველ დღეს ჩვენმა მოჭიდავეებმა 10 შეხვედრიდან მოიგეს ექვსი, ერთი ფრედ დაამთავრეს და წააგეს სამი. უმჩატეს წონაში ჯ. ძნელაძემ პირველ წრეში წმინდად მოუგო მოლდაველ ტერენტიევს, მაგრამ მეორე წრეში ქულებით დამარცხდა ბელორუსელ კოჩერგინთან. მჩატე წონაში ო. ეგაძემ მოიპოვა ორი წმინდა გამარჯვება საფაროვზე (უზბეკეთი) და ლიდუნამსზე (მოსკოვი). მსუბუქ წონაში რ. ტუხულოვმა ქულებით წააგო შეხვედრა ყაზახეთის წარმომადგენელ კუკოვთან, ხოლო საშუალო წონაში ფ. გველესიანმა გამარჯვება მოიპოვა აკოფიანზე (სომხეთი). ფრედ დამთავრდა ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა — ა. სიხარულიძისა და ყაზახეთის წარმომადგენლის კისკიმოვის შეხვედრა. მძიმე წონაში ა. ხაბეიშვილმა სუფთად მოუგო ბაბილკოს (ყირგიზეთი).

თავისუფალ ჭიდაობაში პირველ დღეს უფრო კარგი ბალანსი გვქონდა, აქ 10 შეხვედრიდან ჩვენმა მოჭიდავეებმა მოიპოვეს 8 გამარჯვება და ყველა წმინდად. ზ. შეყრილაძემ ორი გამარჯვება მოიპოვა ლიტვის წარმომადგენელ მესროპოვთან და აზერბაიჯანელ მამედოვთან. ა. შეყრილაძემ მოუგო უკრაინელ ნელიუბინს, მაგრამ გრუნინთან (რსფსრ) შეხვედრაში ხელი იღრძო და გამოეთიშა შეჯიბრებას. სხვა წონით კატეგორიებში ზ. ბერაიაშვილმა დაამარცხა ხითარიშვილი (ტაჯიკეთი), ნ. გოგიბედაშვილმა — სოტკოვი (ყაზახეთი), ვ. ბათლიძემ — ხიმილევი (ტაჯიკეთი).

ფრენბურთში, როგორც ცნობილია, ჩვენი ვაჟთა გუნდი იბრძვის პირველ ფინალურ ჯგუფში. აქ იგი შეხვდა რსფსრ-ს გუნდს. ბრძოლა მეტად დაძაბული იყო და ორ საათს გრძელდებოდა. ჩვენმა გუნდმა მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 3:1. ქალთა კოლექტივი იბრძვის VII-XI ადგილებისათვის. პირველ დღეს ისინი შეხვდნენ ესტონეთის გუნდს და გაიმარჯვეს — 3:0.

დამარცხდა საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდი, რომელიც პირველ ფინალურ ჯგუფშია. ლიტველებთან მათი შეხვედრის ანგარიშია 53:61. ვაჟთა გუნდი იბრძვის VII-XII ადგილებისათვის. მოსკოვის გუნდთან შეხვედრაში მან დამატებით დროში მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა — 81:80.

ნიჩბოსანთა შეჯიბრებაზე პირველ დღეს 6 დისტანციაზე გამართულ ასპარეზობიდან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ოთხ სახეობაში გავიდნენ ფინალში. ფინალისტები ვართ ესტაფეტებში 4×500 მ-ზე ბაიდარებით როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, ესტაფეტაში ვაჟთა შორის კანოეთი 4×500 მ-ზე და ორადგილიანი ბაიდარებით რბოლაში 500 მეტრზე.

მეტად სუსტად გამოდის ჩვენი კოლექტივი მძლეოსნობაში. ეს ითქმის როგორც საწარმოო კოლექტივებისა და უმაღლესი სასწავლებლების გუნდების, ისე ნაკრების მიმართაც. შეჯიბრების პირველ დღეს მხოლოდ ე. ლომთაძემ მისცა გუნდს ჩათვლა 100 მეტრზე ვაჟთა შორის რბენაში. მეორე დღეს გ. გუდაშვილმა ბადრო ტყორცნა 51 მ და 47 სმ-ზე და დაიკავა მეოთხე ადგილი. მეხუთე ადგილზე გამოვიდა სიგრძეზე ხტომაში რ. ქვაჩაკიძე, რომელმაც აჩვენა შედეგი 7 მ 33 სმ. გუნდურ ჩათვლაში მძლეოსნობაში ჩვენი კოლექტივი ჯერჯერობით X ადგილზეა.

ცუდი შედეგები გვაქვს აგრეთვე ველორბოლაში. 50 კმ რბოლა მოიგო ყაზახეთის წარმომადგენელმა მ. კალინკინმა — 1:13.13. საქართველოს გუნდიდან ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ე. ბირიუკოვს, რომელმაც 49-ე ადგილი დაიკავა. ქალთა შორის 20 კმ-ზე რბოლაში კოლექტივს ჩათვლა მისცეს მხოლოდ ნ. ატლანოვამ და ე. გავრილოვამ.

ცურვაში ვაჟთა შორის სტარტი მიეცა 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით მოცურავეებს. აქ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ი. ბინიუკოვმა აჩვენა შედეგი — 58,4 და დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. ძალოსნობაში მჩატე წონის სპორტსმენთა შორის გაიმარჯვა ვ. მარზაგულოვმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში 337,5 კგ დააგროვა. ჩვენი გუნდიდან საუკეთესო იყო რ. დათიკაშვილი, რომელმაც აჩვენა შედეგი — 305 კგ და ჩათვლა მისცა კოლექტივს. სამწუხაროდ, ქვემსუბუქ წონაში ა. გრიგორიანმა 0 მიიღო აჭიმვაში და გუნდს ვერ შესძინა ვერც ერთი ქულა.

ფარიკაობაში უკვე ყველა შეჯიბრება დამთავრდა. ჩვენმა გუნდმა საერთო ჩათვლაში IV ადგილი დაიკავა.

დამაკმაყოფილებლად გამოდიან ჩვენი გუნდები საწარმოო კოლექტივებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორისაც, სადაც ისინი ლიდერთა შორის იმყოფებიან.

**ო. გელაშვილი.**



**სურათზე:** ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში ლ. ლატინინა ბჯენითი ხტომის დროს.



**სურათზე:** საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდის მეკარე, სპორტის ოსტატი ლ. გოგოლაძე (თბილისი, „დინამო“).

ფოტო ვ. ტუტოვისა.

## მ. ბოტვინიკი ჩამოვა თბილისში

მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი ჯერ არ ყოფილა თბილისში. მართალია, იგი რამდენიმეჯერ მიიწვიეს თბილისელმა მოჭადრაკეებმა, მაგრამ დიდი სამეცნიერო და სპორტული საქმეების გამო გროსმაისტერმა საამისო დრო ვერ გამონახა. ამას წინათ, როცა სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ შესთავაზა ცნობილ საბჭოთა გროსმაისტერებს სწვეოდნენ ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეებსა და ჭადრაკის მოყვარულებს სხვადასხვა რესპუბლიკაში, მ. ბოტვინიკმა ითხოვა წასვლა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. სექტემბრის დამდეგს მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი, რომელიც თავს თბილისელად თვლის (მან 1942 წელს ჩვენს დედაქალაქში მიიღო საბჭოთა კავშირის მოქალაქის პასპორტი), გვესტუმრებიან თბილისში.

მსოფლიო ჩემპიონი და ს. ფლორი რამდენიმე დღეს დარჩებიან თბილისში. ისინი ლექცია-მოხსენებებით გამოვლენ ჭადრაკის მოყვარულების წინაშე, რომლებსაც გააცნობენ საბჭოთა საჭადრაკო სკოლის მიღწევებს, მის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედებას და სხვ. მ. ბოტვინიკი ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდება (საათებით) 8 უძლიერეს თბილისელ მოჭადრაკეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მ. ბოტვინიკს ოფიციალურ შეჯიბრებებში ქართველ მოჭადრაკეებიდან უთამაშია მხოლოდ ვ. გოგლიძესა და ბ. გურგენიძესთან. საჭადრაკო დაფასთან გამოვა ს. ფლორიც, რომელიც ერთდროული თამაშის სეანსს გამართავს 25 დაფაზე.

## ფეხბურთი

შედგა მორიგი ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის.

ბათუმის „დინამო“ თამაშობდა კაუნასში ადგილობრივ „ბანგას“ წინააღმდეგ. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2:0 ბათუმელთა სასარგებლოდ.

* * *

**სოხუმი.** გუშინ აქ შედგა „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა მორიგი კალენდარული შეხვედრა. სოხუმის „რიწამ“ მიიღო ვიტებსკის „კრ. ზნამია“.

თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

## ტელეფონთან ბაქო!

(ტელეფონით, ჩვენი სპც. კორ.). მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ წინასწარ შეჯიბრებებში უკვე ჩაებნენ ჩოგბურთელები და ფეხბურთელები. ფეხბურთელებმა თავის ქვეჯგუფში უკვე ორი მატჩი ითამაშეს. ქვეჯგუფში მონაწილე ექვსი გუნდიდან (საქართველო, ბელორუსია, აზერბაიჯანი, ლატვია, ესტონეთი, უზბეკეთი) I-II ადგილზე გასული ფეხბურთელები ითამაშებენ ფინალში.

საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელებს პირველი მატჩი ჰქონდათ ბელორუსიის მოსწავლეთა ნაკრებთან. მათ მოწინააღმდეგეს თავიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზეს და თამაშის პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ (2:0) დაამთავრეს. მეორე ნახევარში უპირატესობა კვლავ ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებს ჰქონდათ, რომლებმაც ანგარიში 5:0-მდე გაზარდეს. ბურთები გაიტანეს რ. იშკიანმა, ო. რევაზიშვილმა და ნ. მაისურაძემ.

გუშინ შედგა ამ ქვეჯგუფის ცენტრალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთელები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. წარმატება ხვდა ჩვენს ჩოგბურთელებს, გოგონებმა დაამარცხეს ყირგიზეთის მოსწავლეები — 4:0, ხოლო ჭაბუკებმა ყირგიზეთის გუნდი—5:0.

## კვლავ გამარჯვება

**კიშინიოვი.** (ჩვენი სპეც. კორ.). 31 ივლისიდან 9 აგვისტომდე გრძელდებოდა მოლდაველთა დედაქალაქ კიშინიოვში პ რ ო ფ ე ს ი ულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების VII საკავშირო სპარტაკიადა. შეჯიბრებები ტარდებოდა ორ ჯგუფში. პირველ ჯგუფში პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. მეორე ჯგუფში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივები.

ჯგუფებს შორის ის განსხვავება იყო, რომ პირველში გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის 16 სახეობაში, ხოლო მეორე ჯგუფის კოლექტივებს გამოყავდათ თვითეულს 15 გუნდი.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები მონაწილეობდნენ მეორე ჯგუფში, სადაც ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე და დაძაბული იყო. საქართველოს წარგზავნილებმა დაიკავეს სამი პირველი, ორი მეორე და ორი მესამე ადგილი. მათ მეორე წელია ზედიზედ მოიპოვეს პროფტექგანათლების მთავარი სამმართველოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი პრიზი.

პირველ ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა რსფსრ-ს კოლექტივი, რომელმაც დააგროვა 829 ქულა და მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვი — 557 ქულა, ხოლო მესამეზე — უკრაინა — 500 ქულა.

მეორე ჯგუფში პირველ ადგილზე გამოსულმა საქართველოს გუნდმა დააგროვა 332,5 ქულა. მეორე ადგილზე 297,5 ქულით გამოვიდა ლატვია, ხოლო მესამეზე — ბელორუსია — 296 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: ესტონეთი, ლიტვა, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდავეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და თურქმენეთი.

აღნიშნული შეჯიბრების პარალელურად კიშინიოვში ტარდებოდა ტექნიკური სასწავლებლების პირველი საკავშირო სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა სპორტის სამი სახეობა: მძლეოსნობა, ტანვარჯიში და მაგიდის ჩოგბურთი. აქაც პირველ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა რსფსრ-ს გუნდმა. მეორე ჯგუფში გამარჯვებულნი კვლავ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილნი გამოვიდნენ, რომლებმაც დააგროვეს 105 ქულა. მეორე ადგილზე არიან ბელორუსიის ხოლო მესამეზე — სომხეთის სპორტსმენები.

**ი. რუხაძე**

# ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1961-1964 წლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სათანრიგო მოთხოვნები

**სპორტის ოსტატი** — მონაწილეობა მიიღოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც სსრკ პირველობის გათამაშებაში „ა" კლასის გუნდებს შორის ან სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე I-VI ადგილები დაიკავეს,

## დღეს იწყება ნახევარფინალები

უველა ინტერესით მოელის ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირის დაწყებას (იუგოსლავია, ოქტომბერი), რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი საბჭოთა ოსტატები კ. ზვორიკინა, ლ. ვოლპერტი, ვ. ბორისენკო, ტ. ზატულოვსკაია და ნ. გაფრინდაშვილი. მაგრამ არანაკლებ ყურადღებას იპყრობს ჩვენი მორიგი ჩემპიონატი, რომლის ჩატარება განსაზღვრულია 1961 წლის დამლევს ერევანში. ამ ტურნირში პერსონალურად მიწვეულნი არიან პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილენი ჩვენი ქვეყნიდან, ხოლო ჩემპიონატის მონაწილეთა ძირითადი ჯგუფის შესარჩევად გაიმართება ოთხი ნახევარფინალური ტურნირი — მინსკში, იალტაში, ირკუტსკსა და ტალინში. თვითეული ნახევარფინალიდან ჩემპიონის ოქროს მედლისათვის ბრძოლაში ჩაებმება სამი მოჭადრაკე.

დღეს, 15 აგვისტოს დაიწყება ნახევარფინალები, რომლებშიც დაშვებულია ხუთი მოჭადრაკე საქართველოდან. მინსკის ტურნირში ითამაშებენ ოსტატები ე. კაკაბაძე, ა. ჩაიკოვსკაია და თელაველი პირველთანრიგოსანი თ. ხუგაშვილი, ხოლო იალტის ნახევარფინალში — ოსტატი მ. ტოგონიძე და პირველთანრიგოსანი ნ. მანველოვა.

## ა. ჩაიკოვსკაია და ე. კაკაბაძე—სპორტის ოსტატები

საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისელ მოჭადრაკეებს ა. ჩაიკოვსკაიასა და ე. კაკაბაძეს მიენიჭათ სპორტის ოსტატის წოდება ჭადრაკში.

ეს მაღალი შეფასება თბილისელმა მოჭადრაკეებმა დაიმსახურეს მთელი რიგი მაღალი მიღწევებით. თბილისისა და ბათუმის ქალთა საერთაშორისო ტურნირში ა. ჩაიკოვსკაიამ დაიკავა II ადგილი, ხოლო ე. კაკაბაძემ გაიყო III-V ადგილები საერთაშორისო ოსტატ კ. ზვორიკინასა და ოსტატ ვ. ტიხომიროვასთან ერთად. ფედერაციამ გაითვალისწინა ისიც, რომ ორივე მოჭადრაკე წარმატებით გამოდის საბჭოთა კავშირის პირველობათა ნახევარფინალებსა და ფინალებში. ა. ჩაიკოვსკაია — ბათუმისა და აჭარის მრავალგზის ჩემპიონი — ბოლო ოთხი წელია საქართველოს პირველობათა მუდმივი პრიზიორია, ხოლო საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი ე. კაკაბაძე ეკუთვნის იმ მოჭადრაკეთა რიცხვს, რომლებსაც აქტიური ანგარიში აქვთ მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვასთან (ქართველ მოჭადრაკეს იგი სამჯერ ჰყავს დამარცხებული).

# წყალბურთი

ან

მონაწილეობა მიიღოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც სსრკ პირველობებში სამი წლის მანძილზე 2-ჯერ VII-X ადგილები დაიკავეს,

ან

მონაწილეობა მიიღოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც საუწყებო, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სპარტაკიადებში დაიკავეს I-III ადგილები, იმ პირობით, თუ აღნიშნულ შეჯიბრებებში შესაბამისად მონაწილეობდნენ „ა" კლასის ერთი, ორი, სამი გუნდი, რომლებსაც სსრკ წინა პირველობის გათამაშებაში მე-6 ადგილზე ნაკლები არ დაუკავებიათ,

ან

მონაწილეობა მიიღოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც წლის განმავლობაში არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში მოიპოვეს ყველაზე მცირე — 4 გამარჯვება „ა" კლასის სხვადასხვა გუნდზე. სსრკ პირველობათა გათამაშებებში ამ გუნდებს დაკავებული უნდა ჰქონდეთ შემდეგი ადგილები:

1961 წ. — I-VIII
1962 წ. — I-X
1963 წ. — I-XII

იმ პირობით, თუ ეს გუნდები თამაშობდნენ შემადგენლობებით, რომლებიც განცხადებული არიან სსრკ მიმდინარე წლის პირველობაში მონაწილეობისათვის, 4 გამარჯვება მოიპოვეს სხვადასხვა ნაკრებ გუნდზე, რომელთა შემადგენლობის 2/3 სპორტის ოსტატია,

ან

შედიოდეს სსრკ 21 უძლიერესი მოთამაშის შემადგენლობაში, რომელთა სიას ყოველწლიურად სსრკ წყალბურთის ფედერაცია ამტკიცებს.

**I თანრიგი** — მონაწილეობა მიიღოს „ა" კლასის გუნდებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდების შემადგენლობაში, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის საფინალო შეჯიბრებებში,

ან

მონაწილეობა მიიღოს „ბ" კლასის გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც ზონალურ შეჯიბრებებში I-III ადგილები დაიკავეს.

ან

მონაწილეობა მიიღოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც წლის განმავლობაში მოიპოვეს არანაკლებ ოთხი გამარჯვება I თანრიგის გუნდებზე ან ერთი გამარჯვება I თანრიგის გუნდზე და 7 გამარჯვება II თანრიგის სხვადასხვა გუნდზე. იმ პირობით, რომ წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღოს სულ მცირე 16 ოფიციალურ შეხვედრაში არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებში, შედიოდეს მოკავშირე რესპუბლიკის ან ქ. ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის 14 უძლიერეს მოთამაშეთა სიაში, რომლებიც მტკიცდება წყალბურთის რესპუბლიკური ფედერაციისა და ქ. ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის წყალბურთის საქალაქო სექციების მიერ.

ან

მონაწილეობა მიიღოს გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში I ადგილი მოიპოვა.

**II თანრიგი** — მონაწილეობა მიიღოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც წლის განმავლობაში მოიპოვეს არანაკლებ 4 გამარჯვება II თანრიგის სხვადასხვა გუნდზე ან 8 გამარჯვება III თანრიგის სხვადასხვა გუნდზე (წლის განმავლობაში 14 ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობის პირობით),

ან

მონაწილეობა მიიღოს გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც ჭაბუკთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა.

**III თანრიგი** — ითამაშოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრების არანაკლებ 10 ოფიციალურ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა და წლის განმავლობაში მოიპოვეს არანაკლებ 5 გამარჯვება ნებისმიერი კვალიფიკაციის გუნდებზე (მათ შორის ახალბედათა გუნდებზეც),

ან

ითამაშოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრების 15 ოფიციალურ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა.

**ჭაბუკთა I თანრიგი** — ითამაშოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებებში.

ან

მონაწილეობა მიიღოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც მოკავშირე რესპუბლიკების პირველობებზე II-III ადგილები მოიპოვეს,

ან

ითამაშოს საშუალო და უფროსი ასაკის გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებების არანაკლებ 12 ოფიციალურ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა და მოიპოვეს არანაკლებ 3 გამარჯვება ჭაბუკთა I თანრიგის სხვადასხვა გუნდზე ან 6 გამარჯვება ჭაბუკთა II თანრიგის სხვადასხვა გუნდზე.

**ჭაბუკთა II თანრიგი** — ითამაშოს საშუალო და უფროსი ასაკის გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრების არანაკლებ 10 ოფიციალურ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა და მოიპოვეს არანაკლებ 3 გამარჯვება ჭაბუკთა II თანრიგის სხვადასხვა გუნდზე ან 6 გამარჯვება ახალბედათა გუნდებზე,

ან

ითამაშოს გუნდების შემადგენლობაში, რომლებმაც წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებების არანაკლებ 15 ოფიციალურ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა.

**თანრიგის დამტკიცებისათვის საჭიროა** მოიპოვოს 50 პროცენტი გამარჯვება და მონაწილეობა მიიღოს შეხვედრათა 50 პროცენტში, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამის თანრიგის მიღებისათვის.

### სათანრიგო მოთხოვნათა შესრულების პირობები

1. მორიგი თანრიგები მიეკუთვნებათ იმ სპორტსმენებს, რომლებსაც აქვთ უახლოესი დაბალი თანრიგი.

2. თანრიგები მიეკუთვნებათ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებმაც შეასრულეს წყალბურთში შესაბამისი თანრიგისათვის განსაზღვრული ტექნიკური ნორმატივები ოფიციალურად დანიშნული მსაჯის თანდასწრებით.

3. სათანრიგო მოთხოვნების შესრულება ჩაეთვლებათ გუნდების მოთამაშეებს ყველა თანრიგში, რომ[illegible] კალენდარის მიხედვით თამაშების 50 პროცენტში მიიღეს მონაწილეობა.

### გუნდების დაყოფა თანრიგების მიხედვით

გუნდები დაიყოფა სპორტის ოსტატთა, I, II და III თანრიგებისა და ახალბედათა გუნდებად.

ჭაბუკთა გუნდები დაიყოფა ჭაბუკთა I, II თანრიგებისა და ახალბედათა გუნდებად.

გუნდის თანრიგიანობა დგინდება მოცემულ შეხვედრაში გუნდის კონკრეტული შემადგენლობის მიხედვით და განისაზღვრება მოცემული გუნდის შემადგენლობის თანრიგიანობის 65-70 პროცენტით (2/3).

გუნდის თანრიგიანობის განსაზღვრისას აღირიცხებიან მოთამაშეები, რომლებიც ფაქტიურად მონაწილეობენ მოცემულ შეხვედრაში. მაგალითად, თუ გუნდის შემადგენლობაში თამაშის დროს მონაწილეობდა 7 კაცი და მათგან 4 მოთამაშე II თანრიგოსანია, მაშინ ამ გუნდზე გამარჯვება ჩაითვლება, როგორც გამარჯვება II თანრიგის გუნდზე.

იმ შემთხვევაში, როცა გუნდი შედგება სამი და უფრო მეტი სხვადასხვა თანრიგოსანი მოთამაშისაგან და არცერთი სახის თანრიგი არ მოიცავს გუნდის 2/3-ს, გუნდის თანრიგიანობა დგინდება შემდეგნაირად: თუ მაღალი და უმაღლესი თანრიგების მოთამაშეთა რაოდენობა 40 პროცენტზე ნაკლები არაა გუნდში, მაშინ თანრიგიანობა განისაზღვრება საშუალო თანრიგით. ასე მაგალითად, გუნდის შემადგენლობაში თამაშის დროს მონაწილეობდა 7 კაცი, მათგან: ერთი მოთამაშე I-თანრიგოსანია, ორი — II-თანრიგოსანი და 4 — III-თანრიგოსანი. ამ შემთხვევაში გუნდს მიეცემა II თანრიგის კვალიფიკაცია. მოთამაშეთა თანრიგიანობას და გუნდის კატეგორიას მოცემულ შეხვედრაში ოქმში შეიტანს თამაშის მსაჯი.

უმაღლესი თანრიგის გუნდზე გამარჯვება ფასდება, როგორც ორი გამარჯვება თავისი თანატოლი თანრიგის გუნდზე. ორი ფრე შეფასდება, როგორც ერთი გამარჯვება.

## ნორმატივები წყალბურთის თამაშის ტექნიკაში

| № რიგზე | ნორმატივების დასახელება | თანრიგი: სპორტის ოსტატი | I | II | III და ჭაბუკთა I |
|---|---|---|---|---|---|
| | **მოედნის მოთამაშეთათვის** | | | | |
| 1 | ცურვა 50 მ | 29 წამი | 32 წამი | 36 წამი | 40 წამი |
| | 100 მ | 1.04,5 | 1.10 | 1.20 | 1.35 |
| | 400 მ | 5.25,0 | 5.40 | 6.40 | 7.40 |
| 2 | გდება სიშორეზე: | | | | |
| | მძლავრი ხელი | 25 მ | 20 მ | 16 მ | 12 მ |
| | სუსტი ხელი | 16 მ | 12 მ | 10 მ | 8 მ |
| 3 | გდება მიზანში: (კარის ნახევარში მოხვედრა) | | | | |
| | მძლავრი ხელი | 15 მ—10-დან 8 გდება | 10 მ—10-დან 8 გდება | 8 მ—5-დან 3 გდება | 6 მ—5-დან 3 გდება |
| | სუსტი ხელი | 10 მ—10-დან 8 გდება | 7 მ—10-დან 8 გდება | 6 მ—5-დან 3 გდება | 4 მ—5-დან 3 გდება |
| | **მეკარეთათვის** | | | | |
| 1 | 50 მ ბრასით | 41 წამი | 43 წამი | 45 წამი | 48 წამი |
| | 50 მ კროლით | 32 წამი | 34 წამი | 38 წამი | 40 წამი |
| 2 | წყლიდან ამოსვლა, სიმაღლის აღება ერთდროულად მარჯვენა და მარცხენა ხელის შენაცვლებით | 1 მ 25 სმ<br>1 მ 55 სმ | 1 მ 20 სმ<br>1 მ 30 სმ | 1 მ 10 სმ<br>1 მ 20 სმ | 1 მ<br>1 მ 10 მ |

## [illegible] მხარიდან

# III. მსაჯობდა ქართული ბრიგადა

— სულ 30 კაცი დაგროვდა ...მინარზე, მაგრამ ვინც აქ არის, ...ლი სპორტის სიყვარულმა მო-...ყვანა, რასაც პატარა, კერძო ინ-...ტერესიც დაემატა,—გვითხრა კრა-...სნოიარის რაიონის კომკავშირის ...კომიტეტის მდივანმა ი. კაბალიუკ-...მა და ღიმილით გადახედა 8 საბ-...ჭოთა მეურნეობის და ერთი ცხენ-...საშენი სადგურის წარმომადგენ-...ლებს.

— ეს კერძო ინტერესი რაღაა,

— ვერ დავფარეთ ჩვენი ცნობის-მოყვარეობა.

— ჩვენთან სიტყვა „შეფი" ხში-რად იხმარება, ჩვენს რაიონზე აქვთ აღებული შეფობა ლენინგრადსა და კალინინგრადს, მათი წარმომად-გენელი კი არვის უნახავს, ცოტა-ხნის წინათ საქართველოს სპორტ-კავშირიდან აქ „დასაზვერად" ჩა-მოსული წარმომადგენლები ადგ-ილზე ჩამოსულიც არ გვეგონა და თქვენ უკვე პრაქტიკული დახმა-რების გასაწევად ჩამოხვედით. როგორც ხედავთ, ინტერესი სა-ფუძველმოკლებული არ უნდა იყოს, — გაგვიმარტა ი. კაბალი-უკმა.

რაიონის წარმომადგენელთა გაც-ნობამ გულწრფელ, მეგობრულ ვა-თარებაში ჩაიარა და თეორიულ საფუძვლებს პრაქტიკული გაკვე-თილიც მოჰყვა.

მეორე დღეს თბილისის სპორტ-კავშირთან არსებული აგიტაცია-პროპაგანდის სექციის ხელმძღვა-ნელის ბ. კოვალიოვის მიერ კოხტად დახატული აფიშები რაიონის მშრო-მელებს აუწყებდა, რომ დღის პირველ საათზე გაიმართებოდა ტყვიით მსროლელთა რაიონული პირველობის გათამაშება „მეგობ-რობის თასზე".

— ამხანაგო მთავარო მსაჯო, კრასნოიარის ტყვიით მსროლელე-ბი, რიცხვით 70 კაცი, მოწყობილნი არიან შეჯიბრებისათვის — პატაკს აბარებს ცნობილი კალათბურთე-ლის ვ. უგრეხელიძის ძმა — ტ. უგრეხელიძე. მსაჯთა ბრიგადა სულ ჩვენი ბიჭებითაა დაკომპლექტებუ-ლი.

კარგად ორგანიზებულმა შეჯიბ-რებამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მანქანებითა და ველოსი-პედებით მოსულ ასობით მაყურე-ბელზე, რომლებიც არც უდროოდ მოსულ წვიმას შეუშინდნენ და საიდანღაც მოტანილი დიდი ბრეზენტი მანქა-ნებს შუა გადაჭიმეს მსაჯთა კოლე-გიისათვის ნორმალური მუშაობის პირობების შესაქმნელად.

აქაურ სპორტსმენთა სიტყვით ასეთი ორგანიზებული შეჯიბრება კოჩეტავშიც არ ჩატარებულა და მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბ-რებაში მონაწილე 70 კაციდან ვერცერთმა ვერ შეასრულა მესამე თანრიგის ნორმატივი, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციი მაინც საჭირო კალაპოტში ჩადგა.

მონაწილენი და მაყურებელი მაინც ყველაზე მეტად იმან გა-ახარა, რომ თბილისელ სპორტსმენ-ებთან მეგობრობის თასი მოიპოვა არა რაიონული ცენტრის გუნდმა, არამედ ალექსანდროვსკის საბჭო-თა მეურნეობის ტყვიით მსროლე-ლთა კოლექტივმა, რომელსაც შე-ჯიბრებაში მონაწილე 8 გუნდს შო-რის ყველაზე კარგი შედეგები აღ-მოაჩნდა. [illegible] ინ-ტერესებას თავისებური ბიძგი მის-ცა იმ ფაქტმა, რომ [illegible] გონამ [illegible] ქულა დააგროვა და უკან ჩამოი-ტოვა ბევრი თანამემამულე ვაჟკა-ცი; მათი თუნდაც უნებლიე დამარ-ცხება ქალთან, რევანშის ასაღებად საჭირო ვარჯიშის თავისებური გა-რანტიაა.

პირველი საპატიო გარდამავალი თასის მფლობელი გუნდის კაპი-ტანმა პეტრე გულუმ თავის ამხანა-გების სახელით პირობა მოგვცა, რომ მომავალი წლისათვის ისინი ეცდებიან თვალისჩინივით გაუფრ-თხილდნენ ძვირფას ჯილდოს და შეინარჩუნონ ისე, რომ გუნდის ექვსივე წევრიდან მეორე შეჯიბ-რებაზე არცერთს არა ჰქონდეს მე-სამე თანრიგზე ნაკლები შედეგი.

ყამირელი ვაჟკაცის სიტყვა გა-უტეხელია.

**გ. სამსონაძე,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

## გათამაშებულია ხუთი ტური

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). ...ოლა XXIX საჭადრაკო ჩემპიო-...ნატის ნახევარფინალში იმდენად ...ბულად მიმდინარეობს, რომ ...ელი პარტია ტურის დღეს და-...მთავრებელი რჩება. ამიტომ სა-...ყველთაო ინტერესს იწვევდა გა-...დებული პარტიების დამთავრება. ...ერ კიდევ დილით გახდა ცნო-...ბილი, რომ კლოვანმა შეწყვეტილ ...პოზიციაში გურგენიძესთან ვერ მო-...ძებნა წაგებიდან თავის დაღწევის ...საშუალება და დათმო პარტია. ...ლენკომ და პრესმა განუცხადეს ...მსაჯთა კოლეგიას, რომ ისინი ყა-...იმზე შეთანხმდნენ.

...სამოს გაჩაღდა ბრძოლა სხვა ...პარტიებში. ბაგიროვმა კარგად ჩა-...ატარა პარტიები უსტინოვსა და ...მევსკისთან, ორივე პარტიაში ...ტურად გამოიყენა თავისი პო-...ზიციური უპირატესობა და გაი-...მარჯვა. ჩინებულად ითამაშა ლო-...კალანტართან, რომელთანაც ...შუქნობი პოზიციური უპირატე-...სობა ჰქონდა. მან მოიგო პარტია. ...ელი დამარცხება განიცადა ჰა-...ვლენკომ არაქელოვთან.

...მდგომარეობაა სატურნირო ...ლში V ტურის შემდეგ? როი-... (მინსკი) აქვს 4,5 ქულა, კლო-... (რიგა), მოსიონჟიკს (კიშინიო-...) — 4 ქულა თვითეულს, გურ-...ძეს, გიპსლისს (რიგა) — 3,5 ... და თითო გამოტოვებული ...ტია თვითეულს (მათ ერთმა-...ნეთთან აქვთ სათამაშო პარტია), ...როვს (ბაქო) — 3,5 ქულა, ...სა და ზახარიანს (ერევანი) — 2,5 ქულა თვითეულს და ა. შ.

ფოტოებზე: მცხეთის ნორჩი ფრენბურთელები მორიგ ვარჯიშზე. მარჯვნივ — მცხეთის წყალქომარ-...ის სადგურში ვარჯიშობენ აკა-...დემიურ ნიჩბოსნობაში.

ფოტო ა. ვართანოვისა.

# ფრენბურთი უნდა გაუსწორდეს მოწინავე სახეობებს

სსრ კავშირის ხალხთა წინა ორ სპარტაკიადაზე (1956 წ. და 1959 წ.) ქართველი ფრენბურთელების შედეგები არასახარბიელო იყო — ვაჟთა გუნდმა შესაბამისად დაიკა-ვა X და VIII ადგილები, ხოლო ქალთა გუნდმა — VI და IX ადგილები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სპორტის ეს სახე-ობა საკმაოდ პოპულარული და მასობრივია, ჩვენი ფრენბურთე-ლების მიერ მოპოვებული შედე-გები ჯერ კიდევ საშუალოზე და-ბალია. ჩვენს რესპუბლიკაში ფრე-ნბურთი კვლავ სპორტის ჩამორჩენილ სახეობათა კატეგორიას მიეკუთვნება.

ჩვენ გვახარებს ის, რომ 1960 წელს სსრ კავში-რის პირველობაზე ფრენ-ბურთში „ბ" კლასის გუნ-დებს შორის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაჟთა გუ-ნდმა III ადგილი მოიპოვა, ხოლო მიმდინარე წელს უკვე „ა" კლასის გუნდებს შორის V ადგილი დაიკა-ვა. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს შე-დეგი საბჭოთა კავშირის პირველო-ბებზე უკანასკნელი 10 წლის მა-ნძილზე საქართველოს ფრენბურ-თელებისათვის საუკეთესოა. სსრ კავშირის ამ უკანასკნელ ჩემპიონა-ტში მიღწეული შედეგებისათვის თბილისელმა ფრენბურთელებმა ვ. კაჭარავამ, თ. კუჭავამ, ნ. მუსხე-ლიშვილმა, ვ. გავრილენკომ, ი. ბო-იკომ, ს. ბუინოვმა, ა. ქიგულინმა სპორტის ოსტატის წოდება მიიღეს. ვ. კაჭარავა კვლავ შევიდა სსრ კა-ვშირის ნაკრების შემადგენლობაში.

წარმატებები აქვს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟთა გუნდსაც, რომელმაც სსრკ 1961 წლის პირველობაზე „ბ" კლასის გუნდებს შორის მე-4 ადგილი და-იკავა. კარგი შედეგები აქვს ამი-ერკავკასიის სამხედრო სპორტული კლუბის გუნდსაც, რომელიც სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პი-რველობის ფინალში გავიდა. სა-ქართველოს ჭაბუკთა გუნდმა გა-სულ წელს მოსწავლეთა ზონალურ სპარტაკიადაზე I ადგილი დაიკავა. ეს მიღწევები ჩვენ გვახარებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხალ-ხთა მომავალ სპარტაკიადაზე სა-ქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი მოწინავეთა რიგებში ჩა-დგება.

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალზე ცუდი მდგომარეობა გვაქვს ქალთა გუნდების მომზადებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის გუნდმა „ა" კლასის ფრენ-ბურთელთა წლევანდელ საკავშირო შეჯიბრებაში მხოლოდ მე-15 ად-გილის (ბოლოდან მეორე) დაკა-ვება შეძლო. ასევე ცუდი შედე-გებით დაამთავრა ტურნირი ფიზ-კულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდმაც, რომელიც „ბ" კლასის ფრენბურთელთა საკავშირო ჩემ-პიონატში მონაწილეობდა, გო-გონათა ნაკრებმა გუნდმა კი გა-სულ წელს საკავშირო შეჯიბრებაში ერთ-ერთი ბოლო ადგილი გაინა-წილა.

ახლა ვილაპარაკოთ ფრენბურთის განვითარებაზე ფიზკულტურულ კოლექტივებში. ამჟამად ჩვენ მრა-ვალი ასეული ორგანიზებული ფრე-ნბურთელთა გუნდი გვყავს, მაგრამ მათი ფიზიკური და ტექნიკურ-ტაქ-ტიკური მომზადება ძალზე დაბა-ლია. ჯერჯერობით პერიფერიის ვერცერთი გუნდი ვერ უწევს რამ-დენადმე მაინც ღირსეულ წინააღ-მდეგობას თბილისის წამყვან ქა-ლთა და, რაც მთავარია, ვაჟთა გუნდებს. საქართველოს ნაკრებ გუნდებში პერიფერიიდან მხოლოდ 2 ფრენბურთელი შედის (სოხუმი-დან — თ. მალახშია ქალთა გუნდ-ში, ბათუმიდან — ?. გუსევი ვაჟთა გუნდში).

ამას წინათ ჩატარებულ საქართ-ველოს პროფკავშირთა სპარტაკია-დაზე წავაწყდით მოუთმენელ ფაქ-ტებს. რიგმა სპორტულმა საზოგა-დოებებმა თავიანთი სისუსტის და-საფარავად დროებით ჩარიცხეს თავიანთ გუნდებში სხვა საზოგა-დოებათა მოთამაშეები. მაგალითად, „სპარტაკის" ვაჟთა გუნდში თა-მაშობდნენ „ბურევესტნიკის" წე-ვრები — თბილისის ფიზკულ-ტურის ინსტიტუტის სტუდენტე-ბი რ. მალახიევი და ვ. ბასტაცკი, „განთიადის" ქალთა გუნდში თა-მაშობდნენ — ვ. ანანოვა (გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუ-დენტი, „ბურევესტნიკის" წევრი), „შრომითი რეზერვების" წარმომა-დგენელი ს. სედინა და სხვ. მოვი-ყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, პირ-ველთანრიგოსანმა ფრენბურთელ-მა ბაქრაძემ გასულ სეზონში „მოა-ხერხა" ეთამაშა თბილისის პუშკი-ნის სახელობის ინსტიტუტის, სა-სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, „სპარტაკის", „კოლმეურნის" და „განთიადის" გუნდებში?! როცა ჩვენ პუშკინის სახელობის პედინ-სტიტუტის ფრენბურთელთა გუნ-დის მწვრთნელს ამხ. თ. იგნატიევს ამ არანორმალური მდგომარეობის შესახებ მივუთითეთ, მან ასე გვი-პასუხა: დაანებეთ, აიმაღლოს ბიჭ-მა თავისი ოსტატობა (?). გარდა ამისა, იციან თუ არა იმის შესახებ ამხ. იგნატიევმა, პუშკინის სახ. პე-დაგოგიური ინსტიტუტის, უნივერ-სიტეტის ფიზიკური აღზრდის კათე-დრების ხელმძღვანელებმა, „ბურე-ვესტნიკში" ფრენბურთზე პასუხის-მგებელმა გ. სავანელმა და „განთიადის" ხელმძღვანელებმა, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის ქა-ლთა მთელი გუნდი, უნივერსიტე-ტის და „განთიადის" ვაჟთა ნა-ხევარი გუნდი „დინამოს" სახელით გამოვიდნენ „დინამოს" ცენტრა-ლური საბჭოს პირველობაზე?

ჩვენც მომხრე ვართ იმისა, რომ „ბურევესტნიკის" მთელი რიგი ფრენბურთელები გადავცეთ სხვა სპორტულ საზოგადოებებს, მაგრამ არა ე. წ. „გაქრავების" ან თხო-ვების წესით. ჩვენ საკმაოდ გვყავს კარგი ფრენბურთე-ლები, რომლებიც დრო-ებით კი არ უნდა გადავ-ცეთ სხვა სპორტულ სა-ზოგადოებას, არამედ მუ-დმივად, რომ იქ ისინი დამაგრდნენ და აიმაღლონ სპორ-ტული ოსტატობა. „დინამოში", „სპარტაკში", „ლოკომოტივში", „კოლმეურნეში" უნდა შეიქმნას მყარი და კარგად მომზადებული გუნდები.

სიტყვამ მოიტანა და ფრენბურ-თის ფედერაციაზეც უნდა ვთქვათ. იგი არ უწევს გუნდებს ქმედით და-ხმარებას, არ ზრუნავს რაიმე წარ-მომადგენლობითი შეკრების ან პლენუმის მოწვევაზე, სადაც მთე-ლი სერიოზულობით განიხილავდ-ნენ რესპუბლიკაში ფრენბურთის განვითარებაში ჩამორჩენის მიზე-ზებს. იგი არ აქცევს ყურადღებას მსაჯების მომზადება-გადამზადების საკითხს. ვფიქრობთ, რომ ფრენ-ბურთის ფედერაციაში ყველაფერი რიგზე არაა. ამასთან ძალზე გვაკვირვებს ერთი გარემოება: ფრენბურთის ფედერაციაში ჩვენ ვერ ვხედავთ ქართული ფრენ-ბურთის ვეტერანებს: კ. ლო-მინაძეს, ვ. თელიას, თ. ყიფიანს, ლ. შმულევიჩს, ლ. ქაჯაიას, ლ. სენიუკს, ბ. გარიშვილს, გ. ჯალა-ღანიას და სხვებს, რომელთა სა-ხელებიც საქართველოში ფრენბუ-რთის განვითარების ისტორიასთან არის დაკავშირებული.

გვინდა ვიფიქროთ, რომ რესპუ-ბლიკაში ფრენბურთის შემდგომი განვითარების საკითხებზე, ვისაც ეს ეხება, დაფიქრდებიან, გამოიტა-ნენ დასკვნებს და სსრკ ხალხთა III სპარტაკიადისათვის ჩვენ გვე-ყოლება მაღალი კლასის ფრენ-ბურთელთა გუნდები.

**ე. ანტონოვი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრანგ მოყვარულთა შორის

94 ველოსიპედისტი მონაწილეობდა საფრანგეთის 1961 წლის პირველობაზე მოყვარულთა შორის. შეჯიბრების ტრასა უდრიდა 160 კილომეტრს. ფინიშთან პირველი იყო ე. ვესტროდი, რომელმაც აჩვენა შედეგი — 3:54.10.

## პამბიანჩო-ანკეტილი

პარიზში, პარკ დე პრენსის სტადიონზე, ჩატარდა ორი საინტერესო მატჩი ველორბოლაში. „ტურ

# დასავლეთის ველოფრასებზე

დე ფრანსში“ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ცნობილი ფრანგი ველოსიპედისტი ჟ. ანკეტილი სამ ტურში შეხვდა იტალიის ტურში გამარჯვებულ პამბიანჩოს. მატჩი დამთავრდა ამ უკანასკნელის გამარჯვებით — 2:1.

ამავე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ დასავლეთის უძლიერესი ველოსიპედისტები დარიგადი და გენში. დარიგადმა მოიგო სამივე ტური.

## რენე გიემოტის გამარჯვება

საფრანგეთის ჩემპიონის წოდება 200 მეტრზე სისწრაფეზე რბოლაში, რომელიც ლიონში ჩატარდა, მოიპოვა რენე გიემოტმა. ფინალის უკანასკნელ — მეექვსე მატჩში მან უჩვენა შედეგი — 13 წამი, ამასთან მეტოქეთა შორის მოიგო ყველაზე მეტი მატჩი — 3. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ვიალი და ლანგუაზი.



როგორც ცნობილია, ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა „იტალიის ... სის“ გათამაშება წყალბურთში. ეს შეჯიბრება იმითაც იყო აღსა... შნავი, რომ სპორტსმენები ერთმანეთს გაეცნენ, დამეგობრდნენ.

სურათზე: უნგრელი ე. ბოლცი და თბილისელი ი. ჩხიკვაძე ვარ... შის შემდეგ „საუბრობენ“ თარჯიმანის გარეშე.

ფოტო ვ. ტუტოვ...

# ამაგდარი

სამიდაო დარბაზი ხალხს ვერ იტევს. მედოლე აზარტიანად ურახუნებს....

— ოხო-ხო, ბერუაშვილი გამოვიდა!

— განაცვალე, ბიჭო!

— აბა, ერთი, შენებურად!

ლეიბზე ზორბა წყვილები დაბიჯებენ. საცრის ოდენა თვალებს აბრიალებენ, ჯიქურ მიილტვიან ერთმანეთისაკენ. აი, ერთი მათგანი ზვავივით მოწყდა ადგილიდან, ლეიბიდან აიტაცა მოწინააღმდეგე და ვიდრე მაყურებელი გონს მოვიდოდა, ორივე ბეჭით გააკრა ხალიჩას...

მეზურნეებმა მექანიკურად მოსწყვიტეს ჰანგი. აბა, მათზე უკეთესი არბიტრი სად იქნება! ბეჭებია და მორჩა!

მაყურებელი გუგუნებს.

ფალავნები ერთმანეთს კოცნიან. ასეთია ადათი. ჭიდაობის შემდეგ ძმები არიან.

ერთი-ორი გულშემატკივარი პირდაპირ ხალიჩაზე გადახტა. ბერუაშვილი რკალში აღმოჩნდა. მაგრამ ვილაცამ დინჯად გაარღვია შეკრული წრე, ხელი მოჰკიდა ვაჟკაცს, ჩაეხვია და მერე წინ გაუძღვა. მორჩილად მისდევდა მოჭიდავე.

— ვინ არის? — იკითხეს აქეთიქიდან.

— ძია გიგლა!

არავის გაუმეორებია კითხვა. ყველაფერი გასაგები იყო.

— ჰო, არ ეშვება საყვარელ საქმეს.

— მერე რა ბიჭები გაუზრდია!

— ესეც მაგის ბუდიდან აფრენილი ბარტყია!

არიან ადამიანები, რომელთაც საქმე თავისთავს ურჩევნიათ. ასეთებს ეკუთვნის გიორგი ალექსიძე. სამოცდახუთში გადადგა, როგორც თითონ იტყვის ხოლმე. ახლაც ახსოვს ნადარბაზევი, მშობლიური სოფელი. აი აქ იყო, თუ იყო, ჭიდილი და შერკინება. ყოველ შაბათ-კვირას იჭაჭებოდნენ მეზურნეები და კალმახებივით ფრთხიალებდნენ ბიჭები. ბევრის გული დაიპყრო აქ პატარა გიგლამ. ხელის გულზე დაატარებდნენ. თავის ტოლებში აღიარებული ფალავანი იყო.

... და გიგლამ, როგორც მას უბრალოდ ეძახდნენ ქართული ჭიდაობის თბილისელი მოტრფიალეები, აქ, თბილისში, ზედიზედ დააწვინა ბეჭებზე „დიღმელი ლევანა“, „გლდანელი ზურა“, მგალობლიშვილი და მუხრანელი ფიდა ტაბატაძე...

გული შუაქართლში მოუწევდა გიორგის. ახლაც ძნელია გიპასუხოთ, რად და რისთვის. და აი, გორში ჩამოვიდა. ქართული ჭიდაობის აქაური მესვეურის — იასონ კალიტაძის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უკეთესს რას ინატრებდა კაცი. გორელი ფალავნები ხომ განთქმული იყვნენ სიმარჯვითა და მოხერხებით, მაგრამ არც გიორგიზე იტყოდნენ ძვირს, იცოდნენ მისი ყადრი და ფასი. გორში, „ახალბაღში“, როგორც ძველი გორელები იტყოდნენ, კვირაობით იმართებოდა ქართული ჭიდაობა. დიდი და პატარა მოაწყდებოდა ნახერხით მოფენილ მწვანიანს, ზოგნიც ხეებზე გადიოდნენ და ყიჟინითა და ჟრიამულით ესალმებოდნენ ცნობილ ფალავნებს: ლექსო ბუთხუზს, ოტია კლიმიაშვილს, შაქრო წიწიკაშვილს, გოგია და კანო გურასპაშვილებს. აქვე ჭიდაობდნენ: გოგია ლამისყანელი (რამაზაშვილი) და მენა სვენელი (ბექანიშვილი).

1930 წელს იასონმა გიორგის გადაულოცა თავისი საქმე და უთხრა:

— აბა, ჩემო გიორგი, შუა ქართლი არ შემირცხვინო... მართკენი დამიზარდენი, მართვენი!

და არც გაუწბილებია გიორგის შუა ქართლი.

... ა. მიხანაშვილს, ა. შახნაზაროვს და გ. პაპიტაშვილს ოთხ-ოთხ წელს ეპყრათ საქართველოს ჩემპიონობა. ვინ არ იცნობს საქართველოს ფალავანს — სანდრო ნაკაშაშვილს. ქართული ჭიდაობის ცნობილ ოსტატებს მიშა და იასონ ბერელაშვილებს, არჩილ იასაშვილს, დურმიშხან ბერუაშვილს, ანზორ ქიზროწაშვილს, ანზორ ბაზერაშვილს...

ყველას ჩამოთვლა გაჭირდებოდა კიდეც. ყველა მათგანს ძია გიგლასათვის მიუკითხებია. გიორგისაც გადაუფარებია კალთა, გადაუცია ქართული ჭიდაობის ყველა საიდუმლო. ყველა ნასკვი ერთად გაუხსნიათ და დიდი ჯილდოს სიხარულიც ერთად გაუნაწილებიათ.

არაფერი მოდის თავისით, არც გიორგი ალექსიძეს მოუმკია ადვილად ამდენი სიგელები და დიპლომები. მათი რაოდენობა ოცამდე აღწევს. აი კიდევ ვერცხლის ქეტონი, რომლითაც იგი დააჯილდოვეს 1921 წელს, აი კიდევ მაჯის საათი, რომელიც გადაეცა მას 1939 წელს გუნდის საუკეთესო მომზადებისათვის.

• • •

გიორგიმ პირნათლად დაულოცა თავისი ადგილი ახალგაზრდ... ენთუზიაზმისა კი რა მოგახსენ... ეს არც ისე იოლი საქმე. ამ... იყო, რომ იგი სიხარულით ... რიალებდა საჭიდაო დარბაზის ... ნებლობას. ხუმრობა ხომ არ ... ნამდვილი საჭიდაო დარბაზი! ... მაშინ ნახეთ, რა ბიჭები დაგ... დებიანო, ხშირად უთქვამს ... ორგის.

გორელებს ნამდვილი დარ... აქვთ ახლა. არ ცილდება ამ ... გილს გიორგი, ვერ ისვენებს, ... თი კვირის მოცდენა რა არის, ... ეძნელება.

... გიორგის გზაში შევხვდით.

— სით, ძია გიორგი?

— საკონსერვო ქარხანაში ... ვდივარ, გუნდი უნდა მოვამზ... კაი ბიჭები ჩანან.

მიაბიჯებს სამოცდახუთი წ... კაცი ჭაბუკური გულით. ... ნაბდის ქუდი ხელში ჩაუჭე... და ახალგაზრდებთან მუშაობი... ხარულით წინასწარვე ხარობს.

გ. ნოზ...

გ. მეყანწიშვილ...

# სიახლენი მძლეოსანთა წვრთნაში

ინგლისელი და იაპონელი მძლეოსნობის მწვრთნელები დიდ ხანს ფიქრობდნენ რაიმე სიახლენი დაენერგათ მორბენალთა წვრთნაში. აქ ძირითადად გადმოიღეს ამერიკელთა გამოცდილება და სპორტსმენთა ვარჯიშს აწარმოებენ მექანიზმების დახმარებით.

ინგლისელმა მწვრთნელმა ჰანსენმა საკუთარი მანქანით იკისრა თავის აღსაზრდელთა ლიდერობა წვრთნის პროცესში. სურათზე ჩანს მანქანის გვერდით მამაგრებული სახელური, რომელზეც ხელჩაკიდებული სპორტსმენი იძულებულია აჰყვეს მანქანის ტემპს, მწვრთნელი-მძღოლი სისწრაფეს ზრდის ისე, რომ იგა არ გასცდეს სპორტსმენის შესაძლებლობას. ამგვარ წვრთნას აქვს უარყოფითი მხარეები — სპორტსმენი სრულებით ვერ ამოძრავებს ხელებს, რაც ასე აუცილებელია რბენის დროს და კარგავს ინიციატივის უნარს. მასზე საგრძნობლად მოქმედებს მანქანის მიერ გამოყოფილი ნამწვის სუნიც. ყველა ეს ოდნავადაც არ აწუხებს მწვრთნელს, რომელსაც სურს მორბენლებში „განავითაროს“ დიდი სისწრაფე.

ჰანსენი ჯერჯერობით უკმაყოფილოა წვრთნის შედეგებით, მაგრამ ბრძოლას არ თმობს და განზრახული აქვს სპორტსმენები ხელებით მიაბას მანქანაზე, რათა გაჭირვების შემთხვევაში მას ხელის გაშვების საშუალება არ ჰქონდეს.

იაპონელებმა სხვა ხერხს მიმართეს. ტოკიოს ერთ-ერთი სტადიონის სარბენი ბილიკის ირგვლივ მოწყობილ ლიანდაგზე მოძრაობს ხელოვნური ლიდერი — მანქანის მოდელი, რომელიც იდეალური სიზუსტით გადის მანძილს მწვრთნელის მიერ მოცემულ დროში. ამ ელექტრონული ლიდერის სისწრაფის გაზრდა და შემცირება დამოკიდებულია მწვრთნელის სურვილზე. სპორტსმენის ძირითად ამოცანას შეადგენს არ ჩამორჩეს „ლიდერს“ და ზუსტად შეასრულოს მწვრთნელის ყველა მითითება, რომელსაც მორბენალი ისმენს „ლიდერზე“ მოწყობილი რადიორეპროდუქტორიდან.



## „რეალის“ მასტროლები

ესპანეთის მორიგი ჩემპიონატისა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების დაწყებამდე მადრიდის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „რეალი“ გამართავს ღია საგასტროლო ტურნეს.

„რეალი“ ჯერ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრება, ხოლო მომდევნო მატჩებს ჩაატარებს ლათინურ ამერიკაში, სადაც დარჩება სექტემბრის დასაწყისამდე.

რედაქტორი ი. უგულ...


# დღეს!

„ბურევესტნიკის“ სტადიონ...

ფეხბურთ...

სსრ კავშირის
თასის
გათამაშება

„ლოკომოტივი“ (თბილ...)
„ლოკომოტივი“ (მოსკ...)

დასაწყისი 17 ს 45 წ.



გრძელდება განცხადებების მიღება საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში. მწვრთნელთა სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, რომელთაც აქვთ სპორტის ამორჩეულ სახეობაში II თანრიგი და მშთ კომპლექსის II საფეხური, სწავლების ვადა 2 წელია.

აღნიშნულ განყოფილებაზე შესვლის მსურველებმა რექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით:

1. ავტობიოგრაფია,
2. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი),
3. დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელ სამუშაო ადგილიდან (მოსწავლეთათვის — სასწავლებლიდან),
4. ოთხი ფოტოსურათი (3X4),
5. საკლასიფიკაციო ბილეთი,
6. მშთ კომპლექსის ჩაბარების ცნობა,
7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან,
8. სამედიცინო ცნობა № 286.

მწვრთნელთა სკოლაში შემომსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდ... საგნებში:

1. სსრ კავშირის ისტორია,
2. ქართული ენა (წერა) — ქართულ სექტორზე შემომსვლელთათვის,
3. რუსული ენა (წერა) — რუსულ სექტორზე შემომსვლელთათვის,
4. გამოცდა სპორტის ამორჩეულ სახეობაში.

განცხადებების მიღება იწარმოებს 25 აგვისტომდე, მისაღები გამოცდ... დაიწყება 26 აგვისტოდან.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-96.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 0110